

ლადონე სვანიძე,
ანა ბერაია

უნახაობის ბაზოზატვის საზუალეკეპი ქართული სამართლის კეგლეების მიხედვით

აქტი ანუ საქმე არის ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, ნახა მოუბარმა ზმნით გამოხატული მოქმედება, თუ არა (ა. შანიძე, 1953, გვ. 215). ამის მიხედვით აქტის ორი სახეა გარჩეული: ნახული და უნახავი.

ზმნის უნახაობას ქართულში გადმოსცემს I და II თურმეობითის ფორმები. აკ. შანიძე ამ მწკრივთა დახასიათებას სამი ელემენტის (დრო, კილო, აქტი) მიხედვით ახდენს და თურმეობითის (I და II) მწკრივებს სახელს არკმევს უნახაობის ელემენტის მიხედვით, თუმცა ამ დებულებას სხვა მხარეებიც გააჩნია, კერძოდ, უნახაობა შეიძლება გადმოსცეს არა მარტო I-II თურმეობითების ფორმებმა, არამედ ნებისმიერმა მწკრივმა თურმე ნაწილაკის დართვით (თურმე აკეთებს, თურმე აკეთებდა, თურმე გააკეთებს, თურმე გააკეთა). „ამ შემთხვევაში უნახაობა აღწერილობით არის გადმოცემული და იგი ზმნის მორფოლოგიურ კატეგორიას არ წარმოადგენს“ (ლ. კვაჭაძე, 1993, გვ. 223); I და II თურმეობითები I-II პირში უნახაობას ვერ გამოხატავენ, რადგან I-მა და II პირმა შეუძლებელია თავისი ჩადენილი მოქმედების შესახებ არაფერი იცოდნენ. კონტექსტით ისინი აშკარად ნახული აქტის ფორმებია (გამიკეთებია, გაგიკეთებია); ისიც აღსანიშნავია, რომ თურმეობითების I-II პირის ფორმებს იოლად ენაცვლება წყვეტილის ფორმა (გამიკეთებია-გავაკეთე). ალბათ, ამიტომაც, რომ I-II პირში ზმნა ნახული აქტისაა; თუ ზმნას უარყოფითი ნაწილაკები (არ, ვერ) ახლავს, აქტი ნახულია; თუ კილო პირობითია (რთული კონსტრუქცია), აქტი ნახულია. ამდენად, უნახავი აქტის გადმოცემა შესაძლებელია ძირითადად III პირის თურმეობითებით (I, II). მაშინაც, უდაუოდ, ყურადღება უნდა მიექცეს წინადადების შინაარსს, კონტექსტს.

სპეციალურ ლიტერატურაში სხვადასხვანაირადაა შეფასებული აქტის კატეგორია. ივ. ქავთარაძეს მიაჩნია, რომ „ქართულ ენაში თურმეობითის ნაკვთი ძალიან ხშირად იხმარება ისეთი მოქმედება-მდგომარეობის გადმოსაცემად, რომელიც სუბიექტმა თავისი თვალთ ნახა, დაესწრო მას. უნახავი მოქმედების გადმოსაცემდ მისი გამოყენება სრულებითაც არაა ერთადერთი. ეს უფრო გვიანდელი ჩანს, როცა დროის გაგება მასში რამდენადმე დაიჩრდილა“ (ივ. ქავთარაძე, 1956, გვ. 179-180).

თ. მეტრეველი კი სრულიად უარყოფს ნახული აქტის არსებობას და აღნიშნავს, რომ წყვეტილისათვის არაა გამორიცხული უნახავი აქტის გაგება ე. წ. ნახული აქტის ფორმები ვერ აყალიბებენ უნახავი აქტის საპირისპირო მნიშვნელობას და შეიძლება ჰქონდეთ ნახული, ასევე უნახავი აქტის გაგება, მაგ.: „ხომ შეიტყე, რა სასტიკი ბრძანება გასცა მეფემ“ — „გასცა“ არ უარყოფს უნახავი აქტის გაგებას. ვინაიდან იგი არ აღნიშნავს, რომ მოსაუბრენი აუცილებლად შეესწრნენ მეფის მიერ ბრძანების გაცემის აქტს (თ. მეტრეველი, 1969, გვ. 63-66).

ძველი ქართული წერილობითი ძეგლების ანალიზის საფუძველზე ზ. ხარჯველაძე მიუთითებს, რომ „ძველ ქართულ ზმნას უნარი შესწევს გადმოსცეს

უნახაობის ნიუანსი. ეს მოვლენა გავრცელებულია უფრო სამუაღსა და ახალ ქართულში“ (ზ. სარჯველაძე, გ. ნინუა, 1985, გვ. 85).

საანალიზო მასალაში (ველმწიფის კარის გარიგება, დასტურლამალი, ძველი ერისთავთაძე, ბიჭვინთის იადიგარი, ღმრთაების გუჯარი) საკმაოდ ხშირად დადასტურებული თურმეობითები, კერძოდ: „ღმრთაების გუჯარში“ I და II თურმეობითების ხმარება თანაბარია, დანარჩენ ძეგლებში კი I თურმეობითი სჭარბობს. საანალიზო მასალაში საერთოდ არ დადასტურდა „თურმე“ ნაწილაკიანი ფორმები.

რადგან პირებს შორის უნახავი აქტის გამოხატვის თვალსაზრისით დაპირისპირებაა, ნიმუშები პირების მიხედვით წარმოვადგინეთ.

I თურმეობითი I პირისა:

დამიწერია (ხელმწ. კარ. გარ., 83), გვიბრძანებია (დასტ., 256), დაგვიდებინებია (დასტ., 159), გვიბოძებია (დასტ., 259), მიგვიბარებია (დასტ., 277), გვიპატივებია (დასტ., 292), დაგვიწერია (დასტ., 307), გამოგვისამძღვრავს (დასტ., 325), მითქვამს (ღმრთ. გუჯ., 355), ჩაგვისვამს, აგვიმართავს, გაგვიჩენია (დასტ., 327), დაგვიწესებია, გაგვიპატიოსნებია, დაგვიარსებია, განგვიწესია (ღმრთ. გუჯ., 360)...

I თურმეობითი ყველგან წყვეტილის მნიშვნელობით იხმარება. I თურმეობითი ნამყოს ერთ-ერთი სახეა, რომელსაც აწმყოსთან საზიარო ფუძე გაუჩნდა შემდეგში და მნიშვნელობით წყვეტილსაც უახლოვდებოდა. მას ერთგვარი შუა ადგილი ეჭირა აორისტსა და აწმყოს შორის. ივ. ქავთარაძე შენიშნავს, რომ ძველი ქართული ოთხთავის მიხედვით I თურმეობითი და წყვეტილი ბარალელურად იხმარება, ამის მიზეზია მხოლოდ ამ ორი ნაკეთის თავისებური სემანტიკა ძველ ქართულში, სადაც ისინი ერთმანეთს და არა რომელიმე უცხოური დედნის (ბერძნულის, სომხურის) ზმნური ფორმის თავისებური გაგება და გადმოთარგმნა (ივ. ქავთარაძე, 1956, გვ. 184-185). აღსანიშნავია, რომ დაპირისპირება (I თურმეობითი - წყვეტილი) ახალია, თურმეობითს რომ ადრევე ჰქონოდა უნახაობის შინაარსი, „თურმე“ ნაწილაკის დართვა გაუგებარი იქნებოდა. I თურმეობითის ფორმამ ეს შინაარსი შეიძინა ისე, რომ რამე ფორმანტი არ გამოიყენა.

I თურმეობითის II პირის ფორმები არ დადასტურდა.

I თურმეობითი III პირისა:

დაუწერია (ხელმწ. კარ. გარ., 89), შეუყვანია (ხელმწ. კარ. გარ., 96), უხნავს, უფარცხავს (დასტ., 300), განუგიათ, დაუმყარებიათ, აღემალლებინათ (ღმრთ. გუჯ., 361), წარმოუტყვენავთ, დაუმორჩილებიათ (ღმრთ. გუჯ., 363), დამკვიდრებულა, განუდიდებიათ, შეუმკვიათ (ღმრთ. გუჯ., 369)...

II თურმეობითის I-II პირის ფორმები საანალიზო მასალაში არ ფიქსირდება.

II თურმეობითი III პირისა:

მოშლილიყო (ძეგ. ერისთ., 112), ბრძოლილ იყუნეს, დაჰკლებოდა, მოეკლა (ბიჭვ. იადგ., 117), ჩაესვა (დასტ., 325), განედიდა (ღმრთ. გუჯ., 352), დაეპყრა (ღმრთ. გუჯ., 353), განეჩინა, მიებოძა, განეგო, განეპატიოსნებინა, განდიდებულყო (ღმრთ. გუჯ., 354), ებოვა, განეშვენა, დაეჭირა, დაემტკიცებინა, შემოეწირა (ღმრთ. გუჯ., 373), წაებრიყუებინათ (დასტ., 326)...

ისტორიულად უნახაობის გამოხატვა „თურმე“ ნაწილაკს ეკისრებოდა, თურმეობითები კი ნამყოს გაგებას იძლეოდნენ, რაც ძველისძველი ფაქტია და

მით სარგებლობდა ისტორიული საბუთების თითქმის ყველა შემდგენელი. საანალიზო მასალაში თურმე ნაწილაკიანი ფორმები არ დადასტურდა, ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ უნახაობის გამოხატვა უპირატესად თურმეობითებს ჰქონდათ დაკისრებული ამ პერიოდისათვის. გასათვალისწინებელია ლიტერატურულ ძეგლთა მონაცემებიც: „თურმე“ ნაწილაკი დადასტურდა თითქმის ყველა მწკრივის ფორმასთან და მათ შორის თურმეობითებთან, თუმცა ძალზე მცირე რაოდენობით: თურმე ამოვიდა (რუსულ., 41, 13), თურე ირეცხებოდა (რუსულ., 245, 16), თურმე წააღებინებდნენ (რუსულ., 256, 32), თურე დახვდეს (ამირანდარეჯ., 148, 31), თურმე გწამობ (რუსულ., 273, 22), თურე ეკრა (ამირანდარეჯ., 165, 21), თურე მინახავს (ვისრ., 84, 3), თურმე ჩამოვცვივდი (რუსულ., 244, 26), თურმე ჰფარევედა (რუსულ., 228, 21)...

დროთა განმავლობაში უნახაობის გამოხატვა იკისრეს თურმეობითებმა და ამას მოძიებული ნიმუშებიც ადასტურებს. თურმეობითებისათვის უნახაობის სემანტიკის აღნიშვნა გვიან შეძენილი ფუნქციაა, რომელიც მათ თურმე ნაწილაკიდან მიიღეს. ნიშანდობლივია ის, რომ თანამედროვე ზეპირ და წერით მეტყველებაში შეინიშნება თურმე ნაწილაკიანი თურმეობითების (თურმე წასულა) მომრავლება, სადაც თურმე ნაწილაკი ერთგვარი სამკაულია და არა უნახაობის გამოხატველი. თურმეობითის მიერ უნახაობის ჩამოყალიბების მთელი პროცესი ასე წარმოგვიდგება:

თურმეობითი (გამოხატავს წარსულ დროს) → თურმე ნაწილაკიანი თურმეობითი (გამოხატავს უნახაობას) → თურმეობითი თურმე ნაწილაკის გარეშე (გამოხატავს უნახაობას).

ამდენად, იურიდიული ხასიათის ძეგლებში უნახაობის გამოხატვა შესაძლებელია: III პირის თურმეობითებით და ამ შემთხვევაში აქტი განიხილება როგორც უღლების კატეგორია. მაგრამ თუ ლიტერატურული ძეგლების (ამირანდარეჯანიანი, ვისრამიანი, რუსულდანიანი) მონაცემებსაც გავითვალისწინებთ, III პირის თურმეობითებთან ერთად უნახაობის გამოხატვა ხდება აღწერითად — ნებისმიერი მწკრივის ფორმაზე თურმეს დართვით. ამ შემთხვევაში აქტი განიხილება როგორც სემანტიკური კატეგორია.

შემოკლებანი

ამირანდარეჯ. - ამირანდარეჯანიანი

ბიჭვ. იადგ. - ბიჭვინთის იადიგარი

დასტ. - დასტურლამალი

ვისრ. - ვისრამიანი

რუსულდ. - რუსულდანიანი

ღმრთ. გუჯ. - ღმრთაების გუჯარი

ძეგ. ერისტ. - ძეგლი ერისტავთაი

ხელმწ. კარ. გარ. - ხელმწიფის კარის გარიგება.

ლიტერატურა

- ლ. კვაჭაძე, 1993 - ლ. კვაჭაძე, ქართული ენის მორფოლოგია, თბ., 1993.
 თ. მეტრეველი, 1969 - თ. მეტრეველი, ქართული ზმნის აქტის კატეგორიისათვის: ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, 1969, №1.
 ზ. სარჯველაძე, გ. ნინუა, 1985 - ზ. სარჯველაძე, გ. ნინუა, უნახაობის გამოხატვისათვის ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში: მაცნე (ენა-ლიტერატურის სერია), 1985, №1.
 ივ. ქავთარაძე, უნახაობის კატეგორიის ისტორიისათვის ქართულში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. VIII, 1956.
 ქსძ, 1965 - ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის რედაქციით, ტ. I, თბ., 1965.
 აკ. შანიძე, 1953 - აკ. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1953.

DAPINE SVANIDZE, ANA BERAIA

MEANS OF EXPRESSING UNSEEN FACTS ACCORDING TO THE
GEORGIAN LEGAL DOCUMENTS

The studied material attested the occurrence of the first and third person forms of the *Turmeobiti I* series, third person of the *Turmeobiti II*; however, the second person forms of the *Turmeobiti I* and, the first and second person forms of the *Turmeobiti II* were not found in the texts that should be explained by the peculiarity of the content of legal texts. Historically, the category of conveying unseen facts was expressed by means of the particle "turme" ("reportedly", "as they say"), and *turmeobiti* series belonging to past tenses, used for the expression of the past or ancient facts, characterized with the style of historians in drawing up of their documents. The materials that we have analyzed do not contain "turme" particle forms that suggest that the category of expressing unseen facts was rendered with *turmeobiti* series proper without the "turme" particle. We also considered comparing the fiction texts with the legal recordings to see that in literary texts "turme" particle occurs in all the series of the Georgian verb, including the *turmeobiti* ones (Cf.: "turme hparevda", "turme minaxavs...").

In the legal texts the expression of the meaning of "unseenness" is possible by way of the third person forms of the *turmeobiti* series and in this case "the action" is qualified as the category of the verb conjugation. If we consider the data of the literature texts they express the meaning of "unseenness" by means of the *turmeobiti* series as well as by other series, descriptively, through addition "turme" particle to them. In the latter case the action is regarded as merely a semantic category.